საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 69-02
17/01/2025

,, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის ტექნოლოგიების სკოლაში სამოქალაქო ინჟინერიის მიმართულებით ასისტენტ პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე კონკურსის გამოცხადების შესახებ " რექტორის 2025 წლის 16 იანვრის N57-02 ბრძანების ბათილად გამოცხადების შესახებ

ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის დეკანის 2024 წლის 26 დეკემბრის N22818-35 სამსახურებრივი ბარათისა და 2024 წლის 26 დეკემბრის N14 აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით მომზადდა და გამოცხადდა აკადემიურ თანამდებობებზე ბრძანებები. ბრძანებების ატვირთვის დროს გაიპარა ტექნიკური შეცდომა და ერთი და იგივე ბრძანება აიტვირთა ორჯერ, შესაბამისად ბათილად უნდა გამოცხადდეს 2025 წლის 16 იანვრის N57-02 ბრძანება.

,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 60[1] მუხლის, "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, 35-ე მუხლის მე-5 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის N134/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-18 მუხლის 1-ლი და მე-6 პუნქტების, 31-ე, 32-ე მუხლების და 33-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, 2018 წლის 6 მარტის წარმომადგენლობითი საბჭოს მე-2 სხდომაზე დამტკიცებული „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიურ თანამდებობაზე კონკურსის ჩატარების წესის და აკადემიურ თანამდებობაზე დასაქმების პირობების" საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. ბათილად იქნას ცნობილი რექტორის 2025 წლის 16 იანვრის ,, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის ტექნოლოგიების სკოლაში სამოქალაქო ინჟინერიის მიმართულებით ასისტენტ-პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე კონკურსის გამოცხადების შესახებ " N57-02 ბრძანება მისი ძალაში შესვლის დღიდან დუბლირების გამო.
2.უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობების სამსახურსა და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს დაევალოს ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის საიტზე.
3. კანცელარიას დაევალოს ბრძანების გაცნობა შემდეგი სტრუქტურული ერთეულებისათვის: ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტი, ადამიანური რესურსების მართვის სამსახური, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

ნინო დობორჯგინიძე

რექტორი